

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2016 წლის პროგრამების წლიური ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დანესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2016 წელს ახორციელებდა სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

დეპარტამენტის სამი პროგრამისთვის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 798,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 5 394,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,0 პროცენტია.

1. ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრირება - მართვა და ასევე სამი ქვეპროგრამა:

დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მართვის ქვეპროგრამისთვის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 874,5 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 824,7 ათას ლარს, რაც გეგმის 94,2 პროცენტია.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება, საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 217,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 174,0 ათას ლარს, რაც გეგმის 80,1 პროცენტია. ქვეპროგრამის ღონისძიებების ფარგლებში, მიმდინარეოს აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე არარეგისტრირებული და ფიზიკურ პირად რეგისტრირებული ტურისტთა განთავსების ობიექტების კვლევა, (გამოკვლეული პარამეტრების მინიმალური რაოდენობა 12 ერთეული) შპს „4 სერვის ჯი სეილს“-მა დაასრულა კვლევის 3 ეტაპი, ხოლო მეოთხე ეტაპის მასალებს ხელშეკრულების შესაბამისად მოგვანდის 2017 წლის დასაწყისში; ასევე მიმდინარეობს აჭარის ა.რ. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა (გამოკვლეული პარამეტრების მინიმალური რაოდენობა 15 ერთეული) შპს „4 სერვის ჯი სეილს“-მა მოგვანოდა კვლევის 2 ეტაპის მასალები, ხოლო დარჩენილი 2 ეტაპი ხელშეკრულების შესაბამისად დასრულდება 2017 წლის პირველ ნახევარში; ასევე მიმდინარეობს აჭარის ა.რ. უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა (გამოკვლეული პარამეტრების მინიმალური რაოდენობა 20 ერთეული) ა(ა)იპ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტ“-მა უზრუნველყო ოთხეტაპიანი კვლევის 3 ეტაპის მასალების მონოღება, კვლევის მეოთხე ეტაპი ხელშეკრულების შესაბამისად დასრულდება 2017 წლის დასაწყისში.

ქვეპროგრამის - კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 0,5 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 0,43 ათას ლარს, რაც გეგმის 86,0 პროცენტია. ქვეპროგრამის ღონისძიების - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებული მრჩეველთა საბჭოს და რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზება" ფარგლებში 2016 წელს ჩატარდა 3 შეხვედრა, რის საფუძველზეც გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები და მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი, კერძოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხარისხის ნიშნის "რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ" შემოღების შესახებ, შეჯერებული იქნა სატრენინგო საკონსულტაციო ცენტრის ტრენინგ მოდულები დარგის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე სხვადასხვა უწყებებს მიენოდა ინფორმაცია გამოწვევებთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს ტურიზმის ინდუსტრიაში რეგიონის დონეზე.

ქვეპროგრამის - დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 60,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 32,5 ათას ლარს, რაც გეგმის 54,2 პროცენტია. 2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში, დამზადდა აჭარის რეგიონის ტურისტული სარეკლამო ვიდეო რგოლი. ასევე, დასრულდა ექსკლუზიური სარეკლამო ფოტო მასალების ბაზის შექმნა (ფოტოგადაღებები), რის შედეგადაც დეპარტამენტს შეემატა 100 ერთეული სარეკლამო ფოტო

2. აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისწინებს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 208,5 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 3 004,5 ათას ლარს, რაც გეგმის 93,6 პროცენტია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შექნილია 6350 ცალი ბრენდირებული საწერი კალამი, 3250 ცალი ბრენდირებული ჭიქა და ჭიქის დასადგამი, 3100 ცალი ნაჭრის ჩანთა, 1125 ცალი ბრენდირებული ფლემშესსიერება ბრენდირებული წიგნის სანიშნი 1450 ცალი, ბრენდირებული გულსაბნევი 3000 ცალი, ბრენდირებული ბლოკნოტი 1700 ცალი, სავიზიტო ბარათი 2000 ცალი და ლამინირებული მაგნიტი 1000 ცალი.

დამზადებულია სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალა 8300 ცალი (ბროშურები, დასაკეცი რუკები და ა.შ.)

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, 2016 წელს აქტიურად მიმდინარეობდა სარეკლამო კამპანიები: თურქეთში, ისრაელში, პოლონეთში, ლიტვაში, ბელარუსში, ყაზახეთში, უკრაინაში, რუსეთში აზერბაიჯანსა და სომხეთში.

წლის განმავლობაში 10 ქვეყანაში (ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვა, ბელარუსი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) მიმდინარეობდა რეგიონის ონლაინ რეკლამირება სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შედეგად 2016 წლის მონაცემებით მივიღეთ:

- 188,448 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: www.goBatumi.com.
- 121 722 ფოლოუერი სოციალურ ქსელში: www.facebook.com.

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზების ფარგლებში, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 22 პრეს და 8 ინფო ტური, რომლის საშუალებითაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო 290 სტუმარი, მათ შორის: 114 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი და 176 ჟურნალისტი. შედეგად სამიზნე ქვეყნების რეიტინგულ მედია საშუალებებში აჭარის ტურისტული პოტენციალის ამსახველი სატელევიზიო სიუჟეტებისა და საგაზეთო სტატიების რაოდენობა შეადგენს 150 ერთეულზე მეტს.

დეპარტამენტი მონაწილეობდა 24 საერთაშორისო გამოფენასა და კონფერენციასა-სემინარში, მათ შორის 18 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში:

1. თურქეთის ტურისტული გამოფენა - "EMITT -2016"
2. ლიტვის ტურისტულიგამოფენა "Adventure 2016"
3. პოლონეთისტურისტული გამოფენა - "Wroclaw Tourism exhibition-2016"
4. ისრაელის ტურისტული გამოფენა- "IMTM-2016"
5. გერმანიის ტურისტული გამოფენა - „ITB Berlin -2016“
6. უკრაინის ტურისტული გამოფენა - "UITT – Kiev 2016"
7. პოლონეთის ტურისტული გამოფენა - "Katowice International Fair" (GLOB -2016)
8. აზერბაიჯანის ტურისტული გამოფენა - „AITF 2016“
9. ყაზახეთი ტურისტული გამოფენა - „KITF 2016“
10. დუბაის ტურისტული გამოფენა- "ATM- 2016"
11. ჩინეთის ტურისტული გამოფენა - „COTTM 2016“
12. სამხრეთ კორეა ტურისტული გამოფენა „KOTFA 2016“
13. ბელარუსის ტურისტული გამოფენა "Leisure-2016"
14. რუსეთის საერთაშორისო გამოფენა "OTDYKH International Russian Travel, Market"
15. იაპონიის ტურისტული გამოფენა „JATA - 2016“
16. საქართველოს (ბათუმი) საერთაშორისო ტურისტული გამოფენა "Eqspo Batumi 2016"

17. თურქეთის (იზმირი) ტურისტული გამოფენა „Travel Turkey Izmir 2016“

18. პოლონეთის (ვარშავა) ტურისტული გამოფენა „Ttw 2016“

ასევე, რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო, არაბთა გაერთიანებული საამიროებში - ქალაქი შარჯადა ბაჰრეინის სამეფოში - ქალაქი მანამა, გამართულ ტურისტულ კონფერენციებში და უკრაინაში - ქალაქი ოდესა, მედ კრუიზის 48-ე გენერალურ ასამბლეაში და ქალაქ ნიკოლაევში ბიზნეს-ფორუმში „ნიკოლაევი-ბათუმი“.

ამასთანავე, 2016 წლის აპრილიდან რეგიონის ცნობადობის გაზრდის მიზნით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, საზღვარგარეთ ჩატარდა ღონისძიებები „აჭარის დღეები“, კერძოდ: ისრაელში (ქ. თელავივი), ბელორუსში (ქ. მინსკი), ყაზახეთში (ქ. ასტანა), პოლონეთში (ქ. ვარშავა), ლიტვაში (ქ. ვილნიუსი).

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 364,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება - 350,4 ათას ლარს, რაც გეგმის 96,2 პროცენტია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დამზადდა სარეკლამო საინფორმაციო მასალა 2500 ცალი (ბროშურები, დასაკვეცი რუკები).

შეძენილია 400 ცალი ბრენდირებული ნაჭრის ჩანთა, 125 ცალი ბრენდირებული ფლეშმემსხიერება და 5000 ცალი სავიზიტო ბარათი.

სექტემბრის ბოლოს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დასრულდა რეგიონში მიმდინარე ღონისძიებების და ფესტივალების რეკლამირება, კერძოდ გარე რეკლამა - ბილბორდებისა და ავტო გაჩერებებზე სითი ლაითების სახით, ასევე, საბანერო რეკლამა თბილისის და ქუთაისის აეროპორტებში.

ქვეყნის შიგნით, რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირების მიზნით, უურნალ - „საქართველოს რკინიგზის“ პერიოდულ გამოცემაში განთავსდა რეკლამა, ასევე სარეკლამო ვიდეო რგოლები გაეშვა მეტრო ჯორჯიას ავტობუსებში. ერთი წლის განმავლობაში ქვეყნდებოდა სტატიები სხვადასხვა საინფორმაციო ინტერნეტ პორტალზე.

წლის დასაწყისიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდა, ღონისძიება - ინტერნეტ რეკლამა საქართველოში, შედეგად წლის განმავლობაში მივიღეთ შემდეგი მონაცემები:

• 140, 653 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: www.goBatumi.com.

• 62 183 ფოლოუვერი სოციალურ ქსელში: www.facebook.com.

სარეკლამო-საინფორმაციო (საქართველოს შიდა) ტურების ორგანიზების ფარგლებში, ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მარშრუტების გაცნობის და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა 6 საინფორმაციო ტური საქართველოს წამყვანი მედია საშუალებების ჟურნალისტებისთვის. ჯამში რევიონს ეწვია 82 ჟურნალისტი, შედეგად საქართველოს მედია საშუალებებში აჭარის ტურისტული პოტენციალისადმი მიძღვნილი სატელევიზიო სიუჟეტებისა და საგაზეთო სტატიების რაოდენობამ შეადგინა 80 ერთეულზე მეტი.

3. ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ოთხ ქვეპროგრამას:

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფის - ქვეპროგრამის, საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 466,3 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება - 441,7 ათას ლარს, რაც გეგმის 94,7 პროცენტია. ქვეპროგრამა ძირითადად მოიცავს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ შენახვისა და ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირების ხარჯებს. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: 4 საინფორმაციო ცენტრის განახლება და მოდერნიზება, კერძოდ ჩატარდა სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს საინფორმაციო ცენტრებში. გადამზადდა საინფორმაციო ცენტრების 25 მუდმივი თანამშრომელი. მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების გაცნობის მიზნით ჩატარდა 5 საინფორმაციო - სარეკლამო ტური ტურისტული სააგენტოებისთვის და გიდებისთვის. ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო განწევრიანდა ევროპის სოფლად ტურიზმის ფედერაციაში - ევროჟიტებში (Eurogites). ჩატარდა საინფორმაციო ცენტრების მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის კვლევა "იდუმალი სტუმრის" მეთოდოლოგიის გამოყენებით ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ქვეპროგრამის - ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება, საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 18,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება - 16,9 ათას ლარს, რაც გეგმის 93,8 პროცენტია. 2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში: ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და არსებულ საჭიროებების გადაჭრაზე მიზანმიმართული საკონსულტაციო ღონისძიებების (ტრენინგები) დაგეგმვა-განხორციელების მიზნით მარტის თვიდან დაიწყო სხვადასხვა ტურისტული ობიექტების თანამშრომლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული ტრენინგები, რის შედეგადაც სხვადასხვა განთავსებისა და კვების ობიექტების თანამშრომლებს ჯამში ჩაუტარდა 59 ტრენინგი, რის შედეგადაც გადამზადების კურსი გაიარა 465 (ოთხასსამოცდახუთი) ტურიზმის სექტორში დასაქმებულმა პირმა.

ასევე, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, დარგში არსებული სიახლეების შესახებ გამოიცა პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენის ოთხი ნომერი, რომელიც მიეძღვა მიმდინარე პროექტებს: „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“, „სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი“, „იდუმალი სტუმარი“ თითოეული ნომერი დაიბეჭდა 700 ეგზემპლარად და გავრცელდა აჭარის რეგიონის მასშტაბით არსებულ ტურისტულ ობიექტებში.

მიმდინარე პროექტების შესახებ და ტურიზმის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა ორი სოციალური ხასიათის ვიდეო რგოლი, რომელიც განთავსდა რეგიონალურ საზოგადოებრივ ტელევიზიაში.

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა, საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 33,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 32,3 ათას ლარს, რაც გეგმის 97,8 პროცენტია. 2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში: ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ შექმნილი ხარისხის ნიშნის („რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“) ტურისტული ობიექტებისთვის მინიჭების პროცესისთვის 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო ინტენსიური შეხვედრები განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებთან, შემგომ ეტაპზე მოხდა მათი დარეგისტრირება აღნიშნული პროექტისათვის შექმნილ ვებ-გვერდზე www.recommend.ge 2016 წელს დარეგისტრირდა 106 (ასევესი) ობიექტი, რომელთაგან მხოლოდ 62-მა (სამოცდაორი) ობიექტმა დააკმაყოფილა პროექტით გათვალისწინებული კრიტერიუმები და მიენიჭა “რეკომენდებული“ სტატუსი. დამუშავდა ორენოვანი საინფორმაციო ფლაერი, რომელიც დაიბეჭდა 5000 (ხუთი ათასი) ეგზემპლარად და გადაეცათ “რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ სტატუსის მქონე კვებისა და განთავსების ობიექტებს.

ასევე დამზადდა 62 (სამოცდაორი) ერთეული „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ ხარისხის ნიშანი (სადგამი აბრა), რომელიც ასევე გადაეცა „რეკომენდებულ“ ობიექტებს.

ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოვების ორგანიზების ფარგლებში, 2016 წლის 22 დეკემბერს ჩატარდა ღონისძიება „მაგნილია 2016“ და სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით გამოვლინდა საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებელი 11 (თერთმეტი) ობიექტი, რომლებიც დაჯილდოვდნენ "მაგნილია 2016"-ის ფარგლებში.

„იდუმალი სტუმრის“ მეთოდოლოგიის გამოყენებით ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ

ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში მოახდინა აჭარის რეგიონში არსებული განთავსების 90 (ოთხმოცდაათ) და კვების 60 (სამოცი) ობიექტის მომსახურების ხარისხის კვლევა.

ქვეპროგრამის - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 557,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 517,2 ათას ლარს, რაც გეგმის 92,8 პროცენტია.

2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში: ჩატარდა ოთხი ფესტივალი- ღონისძიება: საზღვაო სეზონის გახსნა, ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი, სოფლის ტურიზმის ფესტივალი და სამ დღიანი საახალწლო ღონისძიება.

ახალი ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარების ფარგლებში ჩატარდა აქტიური სამუშაოები, კერძოდ: მარშრუტების ზოგადი კვლევა, კოორდინატების და მანიშნებლების ლოკაციების დაზუსტება, მარშრუტებზე არსებული სერვისების კვლევა. დასრულდა 4 ახალი ტურისტული მარშრუტის მარკირება, კერძოდ: სხალთა-ხიხაძირი-ხიხანის ტურისტული მარშრუტი, ფრინველებზე დაკვირვების შუამთის (სოფ. ჩაისუბანი) მარშრუტი, კურორტი გოდერძის სამთო სათხილამურო მარშრუტი, შუახევი-დარჩიძეები-ჩირუხის მარშრუტი.

ღონისძიება - ქალაქ ბათუმში არსებული ფოტო სტენდების განახლება და ტურისტული საინფორმაციო დაფების შეცვლის სამუშაოების ფარგლებში ქ. ბათუმში დამონტაჟდა 15 ახალი და შეკეთდა არსებული 20 ფოტო სტენდი და საინფორმაციო დაფა.